

ოქმი № 1**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის**

2019 წელი, 4 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ჩაგანავა - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: გ.მდინარაძე, ბ.თოიძე, ალ.ლონტი,
ვ.ბერიძე, მ.ზოიძე, ბ.ქათამაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: გ.ჩაგანავა**თანამომხს: ალ ბერიძე**

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხს: გ.ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან მოკლედ ილაპარაკა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების თაობაზე. მსჯელობის შემდეგ კომისიის წევრები დაეთანხმნენ ცვლილებების პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ კომისიას გააცნო ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში შესატანი ცვლილებები, აღნიშნა, რომ ფასები რჩება იგივე, ოღონდ ხდება დადგენილებაში არსებული ტექნიკური შეცდომების გასწორება, კომისიის წევრებმა ამ პროექტსაც დაუჭირეს მხარი.

გადაწყვეტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

გიორგი ჩაგანავა

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია